**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა ნარჩენების მართვისა და კონტროლის მიმართულებით**

**სასწავლო კურსის მოსამზადებელი სამუშაო სემინარი**

# საჭიროებათა ალტერნატიული შეფასება

# ანგარიში

**შეხვედრის ფასილიტატორი – ხათუნა სანდროშვილი, გაეროს განვითარების პროგრამა**


სამუშაო სემინარის მიზნები და ფორმატი: 2

ძირითადი რეკომენდაციები: 2

გენდერული საკითხები: 3

სემინარის სამუშაო პროცესი: 3

1. ინოვაციური მეთოდის გაცნობა 3
2. სემინარის ძირითადი პრიორიტეტული საკითხები 4
3. ინსპექტორის ტიპიური პერსონაჟები 6
4. ინსპექტირების პროცესი ისე, როგორც რეალურად მიმდინარეობს 8
5. ინსპექტირების იდეალური/სასურველი პროცესი 13
6. სასურველი ფაქტორები/საჭიროებები ინდივიდუალურ დონეზე 21
7. სასურველი ფაქტორები/საჭიროებები ინსტიტუციურ დონეზე 22
8. სასურველი გარე ფაქტორები/საჭიროებები (ეროვნულ დონეზე) 23

დანართები: 27

## სამუშაო სემინარის მიზნები და ფორმატი:

სამუშაო სემინარის მიზანი მიმდინარე პროექტის ფარგლებში მიზნად ისახავდა საჭიროებათა ალტერნატიული შეფასების განხორციელებას, სახელმწიფო სერვისების განვითარების ინოვაციური მიდგომების კუთხით. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო იმ თანამშრომელთა მხირდან ინფორმაციის მოპოვებაზე, ვინც უშუალოდ ახორციელებს ზედამხედველობას ადგილებზე და რაიონებში, და სამომავლოდ დაეკისრება ნარჩენების კლასიფიკაციის მოვალეობა.

სამუშაო სემინარი დაიწყო მოკლე მიმოხილვით გაეროს განვითარების პროგრამისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინოვაიცური ლაბორატორიის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიმართულია სახელმწიფო სერვისების ახლებურად შემუშავებისაკენ, მომსახურების გამწევი (სახელმწიფო სტრუქტურები) და მიმღები (კერძო სექტორი, მოსახლეობა) მხარეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებითა და მათი თანამონაწილეობით. სემინარი წარიმართა დიზაინის პრინციპებზე აგებული მიდგომის მიხედვით, რომელიც მონაწილეებს აძლევს საშუალებას გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებაში და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შესთავაზონ პრობლემის გადაჭრის გზების საკუთარი ალტერნატივა, რაც სხვა ფორმატში მეტ ფინანსურ დატვირთვას და დროს მოითხოვს.

## ძირითადი რეკომენდაციები:

შეხვედრის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა ალტერნატიულმა მიდგომამ დაადასტურა ტრადიციული შეფასების შედეგები, რომელიც არსებული საკანონმდებლო აქტების კვლევასა და თანამშრომლეთა ინდივიდუალური ინტერვიუების ჩატარებით წარიმართა. გარდა საერთო პარამეტრებისა, შეხვედრაზე მონაწილეების მიერ გამოიკვეთა ძირითადი რეკომენდაციები, რომელთაგან რამდენიმე ტრადიციული კვლევის შედეგად არ ყოფილა გამოვლენილი. ძირითადი რეკომენდაციებია:

1. ***გარმოსდაცვის დეპარტამენტის ზოგადი განვითარება ნარჩენების მართვის ახალი კოდექსით დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად;***
2. ***ნარჩენების მართვის შესახებ ცნობიერების ამაღლება როგორც მოსახლეობაში, ასევე კერძო სექტორში და სხვა სახელმწოფო სტრუქტურებში;***

შეხვედრის დროს გამოვლენილი საჭიროებები:

3. ***თანამშრომლების ტრენინგი კომუნიკაციასა და კონფლიქტების მართვაში;***
4. ***აღჭურვილობა, დამცავი საშუალებები (ნიღაბი, ა.შ.), პორტატული მოწყობილობა (მაგ. ნაგავსაყრელის აირების გაზომვის მიზნით);***
5. ***ერთობლივი ოპერაციების დარეგულირება სხვა უწყებებთან ერთად – მემორანდუმი, რომელიც არეგულირებს ურთერთობას უწყებებს შორის (მაგ. მშენებლობის პროცესის შემოწმება); სოფლისმეურნეობასთან ერთად ცხოველურ ნარჩენებზე; პატრულთან მუშაობა (ნარჩენების ტრანსპორტირების); საბაჟო (როდის უნდა ჩართოს გარემოსდაცვის დეპარტამენტი, ა.შ.);***

**დეტალური რეკომენდაციები ინდივიდულური, ინსტიტუციული და ეროვნული დონეების მიხედვით იხილეთ ქვე-თავებში 6,7 და 8.**

საინტერესო იყო მონაწილეთა მიერ **სოციალური კაპიტალის** საკითხის წამოწევა, რაც სახელმწიფო სამსახურების დამოკიდებულების დადებით მაგალითად უნდა ჩაითვალოს. როგორც ერთ–ერთმა მონაწილემ გვითხრა, 'დეპარტამენტის პოზიციაა, რომ ... ადამიანის გვერდით ვართ;"

## გენდერული საკითხები:

სემინარის დასაწყისში მონაწილეებს ვთხოვეთ ინსპექტორის ტიპიური პერსონაჟების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პერსონაჟი კაცი იყო, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული თვალსაზრისით გენდერული ნიშნით მკვეთრაად განსხვავებული დამოკიდებულება არ შეინიშნება, თუმცა უშუალოდ ინსპექტირების დროს ქალი ინსპექტორების მუშაობის პროცესში ნაკლები კონფლიქტური სიტუაცია იქნება.

## სემინარის სამუშაო პროცესი:

### 1. ინოვაციური მეთოდის გაცნობა

სახელმწიფო სერვიების შემუშავებისადმი დიზაინის პრინციპების მიმოხილვა– შესავალი (ინოვიაციური სერვისების ლაბორატორია)

### 2. სემინარის ძირითადი პრიორიტეტული საკითხები

(შეფასების კრიტერიუმები/საბოლოო შედეგები – საკითხები, რომლის განხილვასაც ისურვებდნენ მონაწილეები შეხვედრის თემატიკიდან გამომდინარე. სემინარის ბოლოს ვუბრუნდებით სიას იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შევძელით ყველა საკითხის განხილვა)

1. ნარჩენების კოდიფიკაცია/კოდირება – ინვენტარიზაცია (დგება საწარმოს მიერ, ხოლო სამინისტრო ახორციელებს ზედამხედველობას); (წარმოადგენს გეგმის შედგენის საფუძველს)
2. ნარჩენების მართვის გეგმა
3. სეპარირებული ნარჩენების სისტემა /შეგროვება
4. საწარმოს თვით–მონიტორინგი
5. ნარჩენების გადაცემა –ტრანსპორტირება (ვის გადასცემს)
6. ნარჩენების გადამუშავება – გაუვნებელყოფა –განთავსება
    a. გადამუშავება– რეციკლირების ინსპექტირება (ადგილზე უნდა იყოს ორგანიზებული, ან სპეციალური საწარმო სადაც მიმდინარეობს).. როგორც რეგულირების ობიექტი
7. კონფლიქტების მართვა – ინსპექტორების მხრიდან, კომუნიკაციის უნარების გაძლიერება;
8. დაკონსრევებული ნაგავსაყრელის ინსპექტირება (ხორციელდება მოქმედი ნაგავსაყრელის ინსპექტირება, თანამშრომლებმა არ იციან დაკონსერვებული ნაგავსაყრელის ინსპექტირების წესები)
9. საწარმოების ცნობიერების ამაღლება (რიგითი თანამშრომლები და მენეჯმენტი)
10. ისტორიული ნარჩენები (შეიძლება არ იყოს საწარმოს მიერ წარმოებული), თანამშრომლებმა არ იციან რეგულირების პროცედურები – არის საკანონმდებლო ხარვეზი;
11. ტრანსსასაზღვრო გადაზიდვები – საბაჟოსთან კოორდინაცია;
12. გადამზიდავი კომპანიების ცონიერების ამაღლება (სახიფათო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საფრთხე)
13. კოორდინაცია სხვა უწყებებთან და მათი შესაბამისი ფუნქციები:
    a. საპატრულო პოლიცია
    b. საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტრო
    c. ჯანდაცვისა და სოფლისმეურნეობის სამინისტროები
    d. სურსათის სააგენტო

e. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი



## 3. ინსპექტორის ტიპიური პერსონაჟები

მონაწილეებს ვთხოვეთ ინსპექტორის ტიპიური პერსონაჟების შექმნა მათი ყოველდღიური საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა პერსონაჟი კაცი იყო, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული თვალსაზრისით გენდერული ნიშნით მკვეთრაად განსხვავებული დამოკიდებულება არ შეინიშნება, თუმცა უშუალოდ ინსპექტირების დროს  ქალი ინსპექტორების მუშაობის პროცესში ნაკლები კონფლიქტური სიტუაცია იქნება.







სახელი:
გვარი:
სქესი:
ასაკი: 41
სად ცხოვრობს?
პროფესია
სად მუშაობს?
ტექნოლოგიების გამოყენება(ტელეფონი, კომპიუტერი,ინტერნეტი)
ოჯახი
მოკლე ისტორია



## 4. ინსპექტირების პროცესი ისე, როგორც რეალურად მიმდინარეობს

მონაწილეებს ვთხოვეთ გაეწერათ ინსპექტირების პროცესი, ისე როგორც ამჟამად მიმდინარეობს, ოღონდ ისე, რომ გამოეყოთ ამ პროცესის დადებითი დაუარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარებიდან გამოიყო:

- დროული რეაგირება ცხელ ხაზზე
- კონსულტაციები სამინისტროს მხრიდან კერძო საწარმოებს შემოწმების შემდეგ
- ინსპექტირების პროცესი, როგორც პრევენციული და საგანმანათლებლო ღონისძიება

უარყოფითი მხარეებიდან აღინიშნა:

- მონაცემების ნაკლებობა – საწარმოების ინსპექტირების ისტორიები;
- თითზე ჩამოსათვლელია კომპანიები საქართველოში, ვინც დეტალურად იცის თავიანთ ვალდებულებების შესახებ, საერთაშორისო კომპანიების ჩათვლით;
- პრობლემები კანონის განხორციელების მხრივ საკანონმდებლო ხარვეზების გამო;
- თანამშრომლობის მხრიდან გულგრილობა.












6
8
12


3
7
9
2
5


3
7
5
9
10
11

## 5. ინსპექტირების იდეალური/სასურველი პროცესი

მონაწილეებს ვთხოვეთ ინსპექტირების იდეალური ვარიანტის გაწერა:

**ნაგავსაყრელის ინსპექტირება**

- ბრძანება
- არსებობს გზშ
- გაცნობა ინფორმაციისა, რომელიც წინასწარ არის გამოთხოვილი სხვადასხვა სააგენტოსგან
- აღჭურვილობა, სიმძიმის ასაწევი მოწყობილობა
- ლაბორატორია ინფორმირებულია
- კომპანიას ვატყობინებთ 10 დღით ადრე.
- კომპანიას გამოყოფილი ყავს წარმომაოდგენელი, რომელიც კვალიფიცირებულია, აქვს გავლილი ტრენინგი, ზუტად იცის როგორ იმართება მოვლენები.
- გასვლა ადგილზე- პრობლემა არ არის შესვლაზე.
- ვხედავთ, რომ კომპანიასწორად ახორციელებს ნარჩენების მოძრაობას
- საინფორმაციო დაფებია გამოკრული ტერიტორიაზე
- მანქანები მოწმდება რადიაციის დონეზე
- კოპანიაში დაამონტაჟებულია რადიაციული დეტექტორი
- სწორად მიდის ნარჩენების მართვა
- გამოსვლისას მანქანები ირეცხება
- მონიტორინგის წერტილების საკმარისი რაოდნეობა
- აწარმოებს თვით-მონიტორინგს, პერიოდულ კვლევებს, ხელშეკრულება აქვს ლაბორატორიებთან
- ახდენს კოდების გადამოწმებას თითოეულ მანქანაზე (მანქანაზე მინიჭებული კოდის შესაბამისობა)
- აწარმოებს აღრიცხვა - ანგარიშგებას, ნარჩენების კოდირებას და კლასიფიკაციას
- დანიშნული ყავს გარემოს დაცვითი წარმომადგენელი
- თუ დაფიქსირდა პრობლემა - მაგ, სახიფათო და ცხოველური ნარჩენების ერთად განთავსება; კომპანია ეთანხმება ოქმს და ითხოვს გარკვეულ დროს,
- დგება შემოწმების ანგარიში (არ არის ჯერ-ჯერობით სავალდებულო)
- კომპანიას წინასწარ ეგზენება დარღვევების შესახებ ინფორმაცია
- სასამართლოში არ ასაჩივრებს, ეცნობა პრობლემის აღმოფხვრას და ეტევა ვადებში;

ვადები - 20 დღე ლაბორატორიული კვლევების ჩათვლით; ძირითადი დრო მიაქვს დოკუმენტაციის გამოთხოვნას (ბრძანების გაცემიდან ოქმის შედგენამდე)





**ასფალტ-ბეტონის ქარხნის ინსპექტირება**

- ბრძანება, შედის ინსპექტორების გუნდი და ლაბორატორია
- გასვლა ადგილზე
- ბრძანების ჩაბარება კომპანიის ხელმძღვანელობისთვის
- ტერიტორიის დათვალიერება
- საწარმოო ციკლის გაცნობა
- ფოტო-ვიდეო გადაღება
- აქტის შედგენა (არსებული სიტუაციის დაფიქსირება)
- კომპანიისგან დოკუმენტაციის გამოთხოვნა
- მასალების ანალიზი
- განხილვა – შიდა განხილვა დეპარტამენტში
- ანგარიშის შედგენა და გადაგზავნა კომპანიაში;





იდეალურ შემთხვევაში  კომპანიას აქვს/ყავს:

1. გზშ
2. ნარჩენების მართვის გეგმა
3. გარემოსდაცვითი მმართველი
4. დოკუმენტაცია ტერიტორიის საკუთრების შესახებ
5. აწარმოებს თვით–მონიტორინგს ან საკუთარი ლაბორატორიის ან კონტრაქტორის საშუალებით
6. ხელშეკრულებები ნარჩენების გატანაზე – რომელ ორგანიზაციას გააქვს და რა სატრანსპორტო საშუალებით გააქვს; ტრანსპორტის რეცხვა და დასუფთავება;
7. განმწმენდი ნაგებობა და ფილტრები (დოკუმენტაცია წესრიგშია)
8. ტერიტორიის სქემატური გეგმა
9. უსაფრთხოების ნორმები (ინსტრუქტაჟი)
10. ნებართვა წყალ–აღებაზე
11. რა სახის საწვავს მოიხმარს
12. წარმოების პროცესში წარმოამნილი ნარჩენების განთავსება (სეპარირებული) პირობების დაცვით.
13. მოწყობილი ავტოპარკი და ადმინისტრაციული შენობები, საწყობები
14. თვითმონიტორინგი
15. ხელშეკრულება ნარჩენების გატანაზე
16. გამწმენდი ნაგებობები, ფილტრები

<u>აქცენტი გაკეთდა გარემოსდაცვითი მმართველის კომპეტენციასა და პროფესიონალიზმზე.</u>

ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შემოწმება ელექტრონული მონაცემთა ბაზის არსებობის პირობებში:

*ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა*




1. რეგისტრაცია
2. საკონტაქტო ინფორმაცია
3. ნარჩენების მართვის გეგმა (მიმოწერა სამინისტროსთან, ელექტრონული ვერსია, ბაზაში წვდომაა)
4. აღრიცხვა- ანგარიშგება (ამ ეტაპზე მთავრობის დადგენილობით, რომ ყოველდღიურად შეიტანონ ინფორმაცია, მაგრამ მზად არ არიან – და მიზანშეწონილია კვარტალურ ანგარიშგებაზე)
5. განთავსება-გაუვნებელყოფა
6. თვით-მონიტორინგის მოდული (ჰარზე, წყალზე, მიწაზე და სანებართვო პირობებზე და საწარმოო პროცესებზე)
7. ინსპექტირება (ელექტრონული მოდული), წინასაინსპექციო მოდულები, გონივრული ვადების მოდული
8. დაჯარიმების შემთხვევაში, შექმნა ოქმი, გაიგზავნა სასამართლოში (1 თვე), სამსახური ცდილობს მოიპოვოს ძალაში შესული კანონიერი დადგენილება, თუ მოიპოვა აგზავნის ცენტრალურ აპარატში, მიწერილობის წინასწარ ვარიანტს, ეგზავნება კომპანიას და დროის ათვლა იწყება ჩაბარებიდან.

აქცენტი გაკეთდა ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობის საჭიროებაზე

1. ერთიანი ელექტრონული სისტემა –წვდომა აქვს დეპარტამენტს და ინსპექტორი იღებს სრულ ინფორმაციას
2. ინსპექტორს გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება სისტემასთან მუშაობის მხრივ
3. ახლა არის 90 ინსპექტორი, 10,000–მდე ობიექტი; იქნება მიზანშეწონილი რაოდენობის გაზრდა 200–250 ინსპექტორამდე
4. მთავარი: იმისთვის, რომ დატრენინგებულმა ინსპექტორმა განახორციელოს ინსპექტირება, საჭირო მოტივაცია: წახალისებისა და დაწინაურების სქემა, ვფიქრობთ შემოვიღოთ სახელფასო კლასიფიკაცია
5. აჭურვილობა – სპეც ტანსაცმელი
6. საკანონმდებლო ბაზა – სალიცენზიო პირობები, ბიუროკრატიული მექანიზმები, რაც ინსპექტორებს უშლის ხელს – ,, ვხედავთ დარღვევას და ვერ ვრეაგირებთ, საკანონმდებლო ხარვეზების გამო“
7. ცხელი ხაზი ახლა დასახვეწია.
8. საწარმოს გარემოსდაცვითი მართვა –გარემოსდაცვითი მმართველი და მენეჯმენტი;
9. სრული ლაბორატორიული მომსახურება
10. მეთოდოლოგია: გეგმა დგება გამოცდილების შესახებ, და არა მეთოდოლოგიის მიხედვით.
11. ნარჩენების კლასიფიკაციის სახელმძღვანელო

## 6. სასურველი ფაქტორები/საჭიროებები ინდივიდუალურ დონეზე

საჭიროებები ინდივიდუალურ დონეზე – (ინსპექტორი):

ჯგუფი 1

1. კლასიციფიკაციის უნარ–ჩვევები ინსპექტორების მიერ
2. ამა თუ იმ ნარჩენების მიხედვით როგორ უნდა მოვეპყრათ ნარჩენებს – ინსპექტორმა უნდა შეძლოს შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა
3. კლასიფიკაციის ნიშნები – მარკირება ( სატრანსპორტო საშუალებების, კონტეინერების);
4. უნარების განვითარება კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის მხრივ;
5. სტრესის მართვა;
6. კომუნიკაცია ინსპექტირების დროს;
7. სახიფათო ნარჩენეების სამარხების მოწყობა და მართვა;
8. სანებართვო პირობები – სიახლეა ნაგავგადამამუშავებლებთან მიმართებაში;
9. ნაგავსაყრელის მოვლის წესები – ტექნიკურია; საჭიროა კითხვარები (Checklists); ტექნიკური დოკუმენტი არსებობს, საჭიროა პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო;
10. არსებული საუკეთესო გამოცდილების გაცნობა – როგორ მუშაობს, მაგალითად, კარგი ნაგავ საყრელი; ტექნოლოგიები – აუცილებელია აპრობირებული იყოს სულ მცირე 2– 3 ქვეყანაში;

ჯგუფი 2:

1. კარგი აკადემიური განათლება, პროფესიული მიმართულებით: საბუნებისმეტყველო (ქიმიკოსი, გეოლოგი), კონკრეტულ სფეროში მუშაობის გამოცდილება;
2. კანონმდებლობის ცოდნა;
3. კომუნიკაციების მართვა –სტრესულ სიტუაციებში და კონფლიქტურ გარემოში;
4. უნარ–ჩვევები, ევროპაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა ინსპექტირებისა;
5. ინტიუიცია
6. მოტივაცია – ანაზღაურება დაბალია არანორმირებულ და სტრესულ გარემოში მუშაობის პირობებში, ფინანსური მოტივაცია ძალიან მნიშვნელოვანია: განსხვავებული სახელფასო კატეგორიების დაწესება; კადრების გადინების პრობლემა (კერძო სექტორში)
7. სტრუქტურულად ჰორიზონტალური ურთიერთობების აუცილებლობა;
8. პროფესიული განვითარება – ტრენინგები; პროფესიული ინტერესი ექნება სისტემაში დარჩეს;
9. პასუხისმგებლობის გრძნობა; საქმის სიყვარული და ერთგულებაა;
10. ტექნიკური აპარატური გამოყენების უნარ–ჩვევები, ახალი ტექნოლოგიების გაცნობა, პორტატული ხელსაწყოები; კერძო კომპანია როგორ ატარებს მონიტორინგს;
11. უწყვეტი სწავლების პროცესი;
12. ინსპექტორატის აღჭურვილობა

## 7. სასურველი ფაქტორები/საჭიროებები ინსტიტუციურ დონეზე
ჯგუფი 2

1. საკმარისი ადამიანური რესურის, რომ სწორად დაგეგმოს ღონისძიებები;

2. კარგად განვითარებული ელექტრონულ მონაცემთა სისტემები;
3. შეხსენების სისტემა – 'dashboards';
4. ვიწრო სექტორული სახელმძღვანელოები (მაგ. ასფალტის საწარმო), ევროკავშირის სახელმძღვანელოებზე დაფუძნებული სასურველია;
5. წვდომა სხვა სამსახურების ელექტრონულ ბაზებზე – 2016 წლიდან კერძო სექტორის ინფორმაციაზე წვდომა;
6. დაწინაურების, ანაზღაურების და წახალისების სისტემა;
7. კარგი დაზღვევის პაკეტები; (ახლა არ არის დეპარტამენტის თანამონაწილეობა);
8. დეპარტამენტი უნდა მუშაობდეს მიუკერძოებელ გარემოში;
9. ინსტიტუციური სტაბილურობა;
10. ინსპექტორის დასაქმების მხრივ უფრო დაცული უნდა იყოს;
11. დაზღვევა უბედური შემთხვევის დროს;
12. კოორდინაცია სხვა უწყებებთან.

ჯგუფი 3:

1. ინსპექტირება უნდა იყოს ცალკე ერთეულად,ხოლო სწრაფი რეაგირება – ცალკე;
2. გარემოს დაცვითი აუდიტი უნდა ხორციელდებოდეს ინსპექტირებასთან ერთად;
3. სახელფასო კლასების გამოყოფა; გამოცდილებაზე და კვალიფიკაციაზე დაფუძნებული ანაზღაურების ზრდა;
4. ინსპექტორატის დანიშვნისას საჭირო ინსტიტუციური მოწყობა – როცა დავიწყებთ ინსპექტირების მიღებას და გარემოსდაცვის განათლების ცენტრში გაიარონ ის უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია რაც ჭირდება ინსპექტორს. (მსგავსი პატრულის სისტემისა, რომელიც წარმატებით მუშაობს);
5. დაზღვევა; უბედური შემთხვევის დროს;
6. ხელფასი –დანამატის გაწერილი სისტემა (წახალისება);
7. წახალისებისთვის – შეხვედრები ინსპექტორების და ახალი იდეების განხილვა;
8. საკანონმდებლო ინიციატივის გატანა– უნდა გაიტანოს სპეციალისტმა და არა მხოლოდ ხელმძღვანელმა პირმა, რომ მოხდეს მისი სათანადო დაცვა;
9. წახალისების ფორმა – გარემოსდაცვითი მმართველები –დეპარტამენტს საიტზე ქონდეს საუკეთესო პრაქტიკის მქონე კომპანიების რეიტინგი;
10. ტენდერებში ჩაიდოს კომპონენტი/ან სესხების გაცემის დროს– კერძო კომპანიების გარემოსდაცვით რეიტინგების გადამოწმების ვალდებულება;.
11. ელექტრონული სისტემები;
12. სავალდებულო შიდა ტრენინგები, მათ შორის სავალდებულო ატესტაციები ყოველწლიურად.

დეპარტამენტის დაკომპლექტება კადრებით, რომელსაც გააჩნია ცოდნა/ან გაივლის სათანადო სასწავლო პროგრამას შემდეგ სფეროებში:

- გარემოს დაცვის კლასიფიკაცია – ევროგაერთიანების სტანდარების მიხედვით
- სამართლებრივი ნომრები
- ქიმია
- საინჟინრო განათლება
- მათემატიკური სპეციალიზაცია
- ეკოლოგიური სპეციალიზაცია

- გეოლოგიური სპეციალიზაცია
- პრიორიტიზირება
- კონფლიქტების მართვის უნარი
- კომუნიკაცია
- სტრესის მართვა

## 8. სასურველი გარე ფაქტორები/საჭიროებები (ეროვნულ დონეზე)

1. ისტორიული ნარჩენები, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე – სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იდენტიფიცირება, აღრიცხვა(არ ვიცით ამ ეტაპზე); სად არის ცხელი წერტილები, საჭიროა ინვენტარიზაცია;
2. გარემოს დაცვის როლის ამაღლება პოლიტიკის დონეზე (დღეს ერთ–ერთი ყველაზე დაბალ ანაზღაურებული სამინისტრო), ნაკლებად პრიორიტეტულია;
3. ძველი საქმეები;
4. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები (სხვადასხვა ინტერპრეტაცია სხვადასხვა მხარის მხრიდან),
5. მთავრობის დადგენილებები – გაწერილია რთული ენით;
6. ერთობლივი უწყებრივი ინსპექტირება – კოორდინაცია; მაგ, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოების ერთობლივი მუშაობის დროს; მაგალითად, სურსათის ეროვნულ სააგენტო – სასაკლაოების მონიტორინგი (საჭიროა იყოს კანონის დონეზე გაწერილი); ვალდებულება და პრაქტიკული სახელმძღვანელო;
7. სახლემწიფომ უზრუნველყოს უწყვეტი სწავლება – ტექნოლოგიების, საუკეთესო პრაქტიკა – პოლიტიკის დონეზე განსაზღვრული და სავალდებულო;
8. პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა.

სხვა:

- ახალი იდეების განხორციელება – საკანონმდებლო ცვილების პროცესის გამარტივება
- პრაქტიკული სახელმძღვანელოები – აუცილებელია იყოს შედგენილი საკანონმდებლო დონეზე გაწერილი ნორმატივების შესაბამისად




III
EU
BAT

## დანართები:

*დღის წესრიგი*

**სამშაბათი, 12 აპრილი**
**სასტუმრო ,,ჰოლიდეი ინნ‘‘**
26 მაისის მოედანი #1, თბილისი

| | |
|---|---|
| 10:00 | რეგისტრაცია – ყავა/ჩაი |
| 10:15 | გაცნობა და შესავალი |
| 10:30 | არსებული სიტუაციის მიმოხილვა |
| 11:45 | სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება |
| 12:00 | მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები |
| 12:20 | მომხმარებლების პროფილის შექმნა და პრეზენტაცია |
| 13:00 | სადილი |
| 14:00 | არსებული პროცესი – პრეზენტაცია |
| 15:00 | სასურველი პროცესი – პრეზენტაცია |
| 16:00 | გზა არსებულიდან სასურველ პროცესამდე – საჭიროებები |
| 17:00 | მოკლე პრეზენტაციები |
| 18:00 | შეჯამება |
| | |

*მონაწილეთა სია:*
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები:

1. ნელი კორკოტაძე - დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი (თბილისი)
2. კონსტანტინე ხაჭაპურიძე - გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის უფროსი
3. (თბილისი);
4. ვერიკო ალლემაშვილი - დაბინძურების კონტროლის განყოფილების უფროსი (თბილისი);
5. ეკატერინე კისკეიძე - ნარჩენების კონტროლის განყოფილების უფროსი (თბილისი);
6. მიხეილ ბურნაძე - ნარჩენების კონტროლის განყოფილება, მთავარი ინსპექტორი (თბილისი);
7. ოთარ წერეთელი - ნარჩენების კონტროლის განყოფილება, უფროსი ინსპექტორი (თბილისი);
8. თამარ მერაბიშვილი - ნარჩენების კონტროლის განყოფილება, ინსპექტორი (თბილისი);
9. ზაზა გიორგაძე - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, მთავარი ინსპექტორი (ქვემო
10. ქართლის სამმართველო);
11. ია ჩაჩანიძე - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, უფროსი ინსპექტორი
12. (აღმოსავლეთ -ცენტრალური სამმართველო);
13. მამუკა ყორყოლაძე - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების უფროსი
14. (აღმოსავლეთ-ცენტრალური სამმართველო);
15. არჩილ ქორიძე - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, უფროსი ინსპექტორი
16. (სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო);
17. ნინო რამიშვილი – გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, უფროსი ინსპექტორი
18. (აჭარის სამმართველო);
19. ნანა ჯინჭარაძე - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, მთავარი ინსპექტორი

20. (აჭარის სამმართველო);
21. თინათინ დათიშვილი - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, მთავარი ინსპექტორი
22. (კახეთის სამმართველო);
23. თინათინ ჩაკვეტაძე - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების უფროსი
24. (დასავლეთ-ცენტრალური სამმართველო);
25. ქანა ჯულელი - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილება, უფროსი ინსპექტორი
26. (დასავლეთ-ცენტრალური სამმართველო);
27. პაატა პარუნაშვილი - გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების უფროსი (სამცხე -
28. ჯავახეთის სამმართველო).

*ორგანიზატორები:*

იუსტიციის სამინისტროს სახელწმიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინოვაციური სერვისების ლაბორატორია

Georgian Environmental Outlook – GEO

გაეროს განვითარების პროგრამა – UNDP

